ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4024283

ნომერი: AR1557025

თარიღი : 10.11.2017

გაცემის თარიღი : 21.06.2018

გაცნობის თარიღი : 21.06.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , ველოტრეკის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , ველოტრეკის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ ბალიაშვილი პ/ნ 01005001410
- თბილისი დ.უზნაძის ქ. N 95

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ფუნქციური ზონის ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების

მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-16 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-2 მუხლის თანახმად: „ამ დადგენილების ამოქმედებიდან ქალაქ თბილისის მუნიციპატიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ურბანული განვითარების მიმართულებით მიმდინარე საქმეების განვითარებაზე უფლებამოსილ სამსახურად განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური.

ამავე დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, სამსახურის ძირითად ამოცანებად განისაზღვრა: „თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებით დადგენილ ტერიტორიაზე აგლომერაციის გათვალისწინებით, მდგრადი ურბანული განვითარების მუნიციპალური პოლიტიკის შემუშავება, განხორციელების კოორდინაცია და მონიტორინგი;“ „თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებით დადგენილ ტერიტორიაზე მიმდინარე ქალაქთმშენებლობითი პროცესების მართვა და კონტროლი;“

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.